## უშანგი სიდამონიძე

# ეროვნული საბჭო - საქართველოს პარლამენტი

დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა ერის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა, ყოველთვის მოსაგონარი და აღსანიშნავი. ერს ისტორიული მეხსიერება აქვს, მაგრამ ჩვენ ცხოვრებაში იყო პერიოდები, როდესაც ეროვნული მნიშვნელობის ისტორიული თარიღების, მოვლენების მოგონება აგვიკრძალეს. ასეთი აკრძალული ისტორიული თარიღები და ისტორიული ფაქტები ჩვენ მრავალტანჯვანანახი ერის ცხოვრებაში ბევრი იყო. ეხლა დადგა დრო, რომ ყველა ისტორიულმა მოვლენამ თუ თარიღმა თავისი ადგილი დაიჭიროს ჩვენს ისტორიაში.

1918 წლის 26 მაისს, ქართული სახელმწიფოს აღდგენის დღეს, უკვე მესამე წელია ოფიციალურად ვზეიმობთ, მაგრამ ნაკლებ შესწავლილი გვაქვს ბევრი ისეთი მოვლენა, რამაც ეს დიდი ისტორიული დღე განაპირობა. მთელი რიგი ისტორიული ფაქტებისა ჯერ კიდევ ელის გაშუქებას, წარმოჩინებას, რათა ჩვენმა ხალხმა თავისი ისტორია შეიცნოს და ამ გზით დღევანდელი დღე კარგად გაიგოს, ხვალინდელი განჭვრიტოს. ისტორია მასწავლებელია, ისტორიული ცოდნის გარეშე დღევანდელობის ახსნა შეუძლებელია.

დიდი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ ყრილობა გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს სახაზინო თეატრში. მას ესწრებოდა 324 დელეგატი გადამწყვეტი და 19 სათათბირო ხმით. საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელი იყო 67 დელეგატი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს 15 დელეგატი წარმოადგენდა; ქალაქის თვითმმართველობებს - 33; საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტებს - 89; მასწავლებელთა კავშირს - 2; ქართულ პრესას - 9; კულტურულ-განმანათლებლურ დაწესებულებებს - 35; ვაჭარ-მრეწველებს და ბანკებს - 26; თავად-

აზნაურობას - 20; ქართულ საზოგადოებებს სხვადასხვა ქვეყნებში - 6; საკათალიკოსო საბჭოს - 1; საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს - 3; ქართველ მაჰმადიანებსა და ქართველ კათოლიკებს - 7; აფხაზეთს - 2 დელეგატი (გრ. ურატაძე. საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში. პარიზი, 1939 წ.).

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ 60 წევრისაგან შემდგარი ეროვნული საბჭო აირჩია. ამ საბჭოს წევრები იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობისა და პარტიის წარმომადგენლები. საქართველოს ეროვნულ საბჭოში თავდაპირველად 25 სოციალ-დემოკრატი, 9 ეროვნულ-დემოკრატი, 10 სოციალისტ-ფედერალისტი, 6 სოციალისტ-რევოლუციონერი, 1 რევოლუციური დემოკრატი და 4 „ალიონელი“ იყო. ორი წევრი უპარტიო იყო - კ. მაყაშვილი და კ. აფხაზი. საბჭოში სამაჰმადიანო საქართველოს სამი წარმომადგენელი ჰყავდა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა ორ პერიოდად იყოფა. დღიდან შექმნისა, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს გამოაცხადებდა, საქართველოს ეროვნული საბჭო ფაქტობრივად საქართველოს მთავრობას, აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ის საკანონმდებლო ორგანი იყო და, ვიდრე არ მოიწვიეს საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919 წლის მარტში, იგი საქართველოს პარლამენტის ფუნქციებს ასრულებდა. 1918 წლის 8 ოქტომბერს მას ოფიციალურად სახელი შეუცვალეს და საქართველოს პარლამენტი უწოდეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებამდე ეროვნული საბჭო ამიერკავკასიის კომისარიატისა, სეიმის და მისი მთავრობის, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გვერდით საქართველოს ხელისუფლება იყო. საბჭომ შექმნისთანავე აღმასკომი აირჩია 15 წევრისაგან ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. შემდეგ ეროვნული საბჭო შეივსო ამიერკავკასიის სეიმის წევრებით საქართველოდან. 1918 წლის სექტემბრის მონაცემებით, საქართვე-

ლოს ეროვნულ საბჭოში 151 წევრი შედიოდა, რომელთაგან 78 სოციალ-დემოკრატი იყო, 17 სოციალისტ-ფედერალისტი, 16 ეროვ-ნულ-დემოკრატი, 19 სოციალისტ-რევოლუციონერი, 3 დაშნაკცუ-ტიუნი, 2 რადიკალ-დემოკრატი, 3 უპარტიო. ეროვნულ საბჭოში უმრავლესობა, ცხადია, ქართველები იყვნენ, მასში შედიოდნენ საქართველოში მცხოვრები ყველა ერების წარმომადგენლები - 13 სომეხი, 2 ებრაელი, 3 ოსი, ერთი აფხაზი. საბჭოში შედიოდა 18 მუშა, იყვნენ გლეხებიც. საქართველოს ეროვნული საბჭო დამოუკი-დებლობის გამოცხადებამდე მუშაობდა ფრეილინის (ახლა საბა-სულხან ორბელიანის) ქუჩაზე, N 11 სახლში.

ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა 1917 წლის 26 ნოემბერს. პირველსავე სხდომაზე დღის წესრიგში დადგა საქარ-თველოს სახელმწიფო საზღვრების დადგენა და ხალხის შეიარაღება ე. ი. ეროვნული სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბება. ეროვნული საბჭოს საქმეთა მმართველად აირჩიეს პავლე საყვარელიძე, „ალი-ონელი“, ჟურნალისტი, რომელიც „საქარელის“ ფსევდონიმით იყო ცნობილი. შემდეგ პ. საყვარელიძე საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მესვეური იყო და დიდი ამაგი დასდო საქართველოს კონსტიტუციის შექმნას.

შეიქმნა ეროვნული საბჭოს კომისიები: ქონების, სამხედრო, საფინანსო, სამოსამართლო-ადმინისტრაციული, სასკოლო და ხე-ლოვნების, სახალხო მეურნეობის და სასურსათო, საგარეო და სამაჰმადიანო საქართველოს გამგებლობის, საერობო, ჯანსაღობის. ყველა ამ კომისიასთან შექმნეს „საქმის მცოდნეთა“ ჯგუფები. თავის ფორმითა და საქმიანობით, ვიმეორებთ, ეს იყო საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება და ასე ესმოდათ თავისი დანიშნულება ეროვნულ საბჭოს წევრებს. ის უძღვებოდა ეროვნულ, ჯერ ოფი-ციალურად გამოუცხადებელ საქართველოს სახელმწიფოს. საბჭოს სხდომების ოქმებიდან, სტენოგრაფიული ანგარიშებიდან კარგად ჩანს, თუ რა სერიოზულობით ეკიდებოდნენ ეროვნულ სახელმწი-

ფოს მშენებლობის საქმეს ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები.

ეროვნულმა საბჭომ სპეციალური დადგენილებით ჩაიბარა ქართველი თავადაზნაურების საერთო ქონება. მისი საკუთრება გახდა თბილისის სათავადაზნაურო საადგმილმამულო ბანკი, რომელმაც თავის დროზე დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში.

ეროვნულმა საბჭომ სპეციალურად შეისწავლა საკითხი, თუ რა ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო ის ამიერკავკასიის კომისარიატთან, მმართველ ორგანოსთან, რომელსაც სათავეში ეროვნული საბჭოს წევრი, სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი ედგა. დღიდან დაარსებისა ეროვნული საბჭო თავის გზით მიდიოდა.

1918 წლის 26 მაისამდე - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ეროვნულმა საბჭომ 19 სხდომა ჩაატარა. მის მუშაობაში ერთი ურთულესი საკითხი იყო საქართველოს გამიჯვნა სხვა ერებისაგან. მეფის რუსეთის ბატონობის ქვეშ მყოფ საქართველოს არ ჰქონდა საზღვრები, ის რუსეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში იყო გათქვეფილი. ამოცანა იყო ყოფილ სამეფისნაცვლოდ ტერიტორიაში საქართველოს ეროვნულ-ისტორიული და სახელმწიფო ტერიტორიის გამორჩევა. 1917 წლის 10 დეკემბერს ეროვნულმა საბჭომ მოისმინა აკ. ჩხენკელის მოხსენება, რომელიც ამიერკავკასიის კომისარიატის დეკრეტიდან გამომდინარე, სვამდა საკითხს ერების გამიჯვნის შესახებ. გამიჯვნის საქმეს გარკვეული სირთულეები ახლდა და ეროვნულმა საბჭომ დიდი მუშაობა გასწია ამ მიმართულებით. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების საკითხი შედარებით გვიან გადაწყდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და მთავრობამ შექმნეს სპეციალური კომისია (ირ. წერეთელი - თავმჯდომარე, წევრები პ. ინგოროყვა, გენ. ოდიშელიძე და დ. ონიაშვილი), რომელმაც მეზობელ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის დასდო საზღვარი.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ თავის ერთ-ერთ პირველ სხდომაზე შექმნა სამხედრო სექცია ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით. დაადგინა, რომ შეექმნათ ქართული ეროვნული ჯარის კორპუსი. კორპუსის შტაბის უფროსად დაინიშნა ი. გედევანიშვილი. ეს ჯარი ეროვნული საბჭოს განკარგულებაში უნდა ყოფილიყო. ეროვნულმა საბჭომ და მისმა სამხედრო სექციამ წარმატებით ვერ განახორციელეს ორგანიზაციული ღონისძიებები (ჯარის მობილიზაცია და სხვ.) ეროვნული ჯარის შესაქმნელად. ამ საქმეში დიდი წარმატებები არც შემდეგ მთავრობას ჰქონია. როგორც ჩანს, შექმნილ ვითარებაში მეტის მიღწევა შეუძლებელიც იყო. ქართველ ოფიცერთა კორპუსი პირველ მსოფლიო ომში კარგად იყო გამოწრთობილი, მაგრამ ხალხი ომისაგან დაღლილი იყო (სულ ამას ჩიოდნენ ეროვნული საბჭოს წევრები) და ჯარის ორგანიზაციის საქმე გართულდა. 1917 წლის დეკემბერში ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნ. რამიშვილმა აღნიშნა, რომ ჯარის შექმნა აუცილებელია „რევოლუციის მონაპოვრის გადასარჩენად“ და ქართველი ხალხის არსებობის შესანარჩუნებლად. აქაც, როგორც მანამდე და შემდეგაც სოციალ-დემოკრატები ერის ინტერესებზე წინ რევოლუციის ინტერესებს აყენებდნენ, რაც ქართველ ხალხს ყოველთვის კარგად არ წაადგებოდა.

ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში ეროვნული საბჭოს სხდომაზე წამოიჭრა საკითხი ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ერთეულის არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ. ნ. ჟორდანიამ ერთ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ამიერკავკასიის ხალხებში დიდი იყო დეცენტრალისტური მიდრეკილებები. ამიტომ საჭირო იყო ამიერკავკასიის მთავრობის შექმნა, რომელიც სხვადასხვა ერებს, ეროვნულ ორგანოებს ერთად შეკრავდა.

ქართველ სოციალ-დემოკრატებს „რევოლუციის ინტერესებიდან“ გამომდინარე დიდხანს აწუხებდათ ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის იდეა. ამ შემთხვევაში რევოლუციის ინტერესები ქართულ ეროვნულ საბჭოს აზარალებდა. ამიტომ იყო,

რომ ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი ეროვნულ საბჭოს სხდომებზე ქართული სახელმწიფოს, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნით გამოდიოდა.

გერონტი ქიქოძემ, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა ეროვნულ საბჭოში, განაცხადა, რომ ამიერკავკასიის დაშლისაკენ მიდრეკილებას თვით სოციალ-დემოკრატები აღიარებენ და ეს დამთავრდება ეროვნული მთავრობების შექმნით. ამიერკავკასიის ცენტრალური მთავრობის შექმნა მენშევიკების ილუზიაა, „ჩვენ გვინდა ეხლავე შედგეს საქართველოს დროებითი მთავრობა, რომელიც ნიადაგს მოუმზადებს დამფუძნებელი კრების მოწვევას. ამ მთავრობის ემბრიონი უკვე გვაქვს საქართველოს ეროვნული საბჭოს სახით... ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ თავი უნდა დავანებოთ ამიერკავკასიის საბჭოების როლის თამაშობას. ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ეროვნული ენერგია მოვახმაროთ სხვა ერების ერთმანეთში მორიგება-დაშოშმინებას. მთელი ჩვენი მისწრაფება იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ შევქმნათ და ვაგროვოთ რაც შეიძლება მეტი ფინანსური და მილიტარული ძალა, რათა შევინარჩუნოთ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალი“.

ეროვნულ-დემოკრატებს მხარი დაუჭირეს სოციალისტ-ფედერალისტებმა, რომელთა სახელით გ. ლასხიშვილმა განაცხადა: „ვიდრე საქართველოს ეროვნული თვითმმართველობა დამყარდებოდეს... ეროვნულმა საბჭომ უნდა იკისროს საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევა, რომელიც ჩამოაყალიბებს ჩვენ ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებას“. ეროვნული საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე დავით ჩიქოვანმა მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ გამოეცხადებინათ საქართველოს სახელმწიფო და იქვე მიმართა სოციალ-დემოკრატებს: „მაგრამ ძალა თქვენ ხელშია და ვიცით, რომ ყველა ეს განსახორციელებელი დარჩება“. მართლაც ეს მოთხოვნები საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადებისა არ განხორციელდა, ვიდრე ისტორიის მსვლელობამ სოციალ-დემოკრატების ილუზიებს საბოლოოდ ბოლო არ მოუღო.

ქართველი სოციალ-დემოკრატები განმარტავდნენ იმას, თუ რატომ არ უჭერდნენ მხარს საქართველოს სახელმწიფოს გამოცხადებას (ნ. ჟორდანია, ევგ. გეგეჭკორი), მაგრამ ჩვენ ეს ახსნა საეჭვოდ მიგვაჩნია. ალბათ, მომავალში, უფრო ჩაღრმავებული კვლევის შედეგად, შესაძლებელი იქნება ჭეშმარიტების დადგენა.

ეროვნულმა საბჭომ განიხილა ბრესტ-ლიტოვსკის ზავისადმი დამოკიდებულების საკითხი. ცხადია, საქართველოს საზოგადოება ცუდად შეხვდა ამ ზავს, რომლითაც საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე უპირატესობა თურქეთს მიანიჭა. ეროვნულ კრებას აქაც გაუკრიტიკებელი არ დარჩა ქართველ სოციალ-დემოკრატთა საქმიანობა. როდესაც ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვდა, მაშინ ამ მოთხოვნას სოციალ-დემოკრატები აღუდგნენ წინ. დამოუკიდებლობა რომ გამოეცხადებინათ, მაშინ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება საქართველოსთვის სავალდებულო არ იქნებოდა. ამას დაემატა ისიც, რომ სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც ამიერკავკასიის კომისარიატს უდგნენ სათავეში, უარი თქვეს ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებებზე წარმომადგენლის გაგზავნაზე. ეს დაასაბუთეს იმით, რომ ამიერკავკასია რუსეთის ნაწილია და ის დაიცავს მის ინტერესებსო.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავთან დაკავშირებით შემდეგი დადგენილება მიიღო: „საქართველოს ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის მილიტარული და ფინანსიური ძალების მობილიზაციას ბათუმის ოლქის დასაცავად, რომელიც ბოლშევიკურმა ზავმა უკანონოდ საქართველოს ტერიტორიას ჩამოგლიჯა. როგორც ბათუმის, ისე ყარსის დასაცავად საქართველოს ეროვნული საბჭო სთვლის პირდაპირი კონტაქტების დაჭერას ამიერკავკასიის სხვა ერთა საბჭოებთან და ამიერკავკასიის სეიმის მიერ დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებას“.

ეროვნული საბჭო თავის ყურადღების მიღმა არ ტოვებდა ერთ-ერთ მწვავე სოციალურ საკითხს - აგრარულ საკითხს. სოფ-

ლად არეულობამ მწვავე ხასიათი მიიღო 1918 წლის დასაწყისში. ეროვნული საბჭოს წევრები ერთხმად მოითხოვდნენ აგრარული საკითხის გადაწყვეტის დაჩქარებას. გ. გვაზავამ შეიტანა წინადადება კანონპროექტში, რომ „მიწის საკითხი უნდა დაჩქარებით გადაწყდეს მშრომელი ხალხის ინტერესების მიხედვით“. 1918 წლის 11 თებერვალს ეროვნულმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ „ეროვნული საბჭო სცნობს: რევოლუციის გასამარჯვებლად და სოფლად ანარქიის მოსასპობად მთავრობამ (ამიერკავკასიის მთავრობამ - უ. ს.) გადადგას ენერგიული და მტკიცე ნაბიჯები ანარქიასთან საბრძოლველად. დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას საჭირო ზომები, რათა უსასყიდლოდ მიეცეს მშრომელ ხალხს ის ადგილ-მამული, რომელიც მას აღეთქვა ამიერკავკასიის დეკრეტით...“

საქართველოს ეროვნული საბჭო სულ უფრო აფართოვებდა თავის მოქმედების სფეროს და მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ქართული სახელმწიფოს მოწყობის საქმეს. 1918 წლის თებერვალში საბჭოს წევრებმა მოითხოვეს საბჭოს რეორგანიზაცია, რათა მას მიეღო ნამდვილი პარლამენტური დაწესებულების სახე. საჭირო გახდა მისი გაფართოება, საქართველოში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენელთა შეყვანა, რათა ის უფრო სრულად გამხდარიყო საქართველოს მმართველი და კანონმდებელი ორგანო. საბჭომ თავის შემადგენლობაში შეიყვანა ოსეთის ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი, სახალხო გვარდიის აქტიური მოღვაწე გიორგი გაგლოევი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა შესახებ.

საქართველოს ეროვნული საბჭო თავის ქონებიდან აფინანსებდა ეროვნულ დაწესებულებებს. უნივერსიტეტს და ქართულ გიმნაზიას გარკვეული თანხა გამოუყო. ეროვნული საჭიროებისათვის ბანკებიდან ნახევარ მილიონი მანეთი სესხი აიღო ვექსილებით, რომელიც შემდეგ დაფარა. საქართველოს საუფლისწულო და საკა-

ბინეტო მამულები ამიერკავკასიის მთავრობის ხელში აღმოჩნდა. საბჭოს წევრები მოითხოვდნენ ქართული მიწების მათთვის გადაცემას, მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ამას ვერ მიაღწიეს.

საქართველოს ეროვნული საბჭო ემზადებოდა დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად და ამისათვის წინასწარ ნიადაგს ამზადებდა. მან შექმნა საკონსტიტუციო კომისია. ის იხილავდა მრავალ მიმდინარე საკითხს და ამ გზით მთელი საქართველოს ბედიღბალი მის ხელში აღმოჩნდა.

1918 წლის 25 მაისს საბჭოს აღმასკომმა ღამის 11 საათზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე დააჩქარა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადება. დააჩქარა, რადგან, როგორც ზევით მოტანილმა მასალამ გვიჩვენა, ეროვნული საბჭოს მთელი საქმიანობა აქეთკენ იყო მიმართული.

საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოცხადებულიყო 25 მაისს, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ დამოუკიდებლობის აქტი მზად არ იყო, მეორე დღისთვის გადაიტანეს. დამოუკიდებლობის აქტი შეიმუშავა კომისიამ, რომელშიცვ აქტიური როლი შეასრულეს გიორგი ჟურულმა და გიორგი გვაზავამ. საბჭოს აღმასკომმა იმსჯელა „აქტის“ პროექტზე, შეიტანა შესწორებები და საბოლოო რედაქტირება ნ. ჟორდანიას დაავალა.

ეროვნული საბჭოს 1918 წლის 26 მაისის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია. ის რამდენჯერმე გამოქვეყნდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების პარალელურად მოხდა ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია, გაუქმდა მისი აღმასკომი, გაფართოვდა შემადგენლობა. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ნ. ჩხეიძე. საქართველოს ეროვნული საბჭო აღმასრულებელ-საკანონმდებლო ორგანოდან საკანონმდებლო-მაკონტროლებელ ორგანოდ გადაკეთდა. მას ევალებოდა უცხო სახელმწიფოებთან დიპლომატიური

კავშირები, რესპუბლიკის საზღვრების დადგენა, ჯარის შექმნა, ბიუჯეტის დაწესება და სხვა.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, საქართველოს პარლამენტმა, როგორც საკანონმდებლო ორგანომ, 1918 წლის 26 მაისიდან 1919 წლის მარტამდე 128 კანონი მიიღო. საქართველოს ეროვნულმა კრებამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს დაადგინა, რომ საქართველოში ძალაში დარჩენილიყო ყველა ის კანონი, რომელიც იმ დრომდე არსებობდა და საქართველოში მოქმედებდა. მათ შორის ამიერკავკასიის სეიმის კანონებიც.

საქართველოს ეროვნული საბჭოს - საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს განეკუთვნებოდა. ამ კანონებს ნორმაში უნდა მოეყვანათ დანგრეული სახალხო მეურნეობა, შეექმნათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ტრადიცია, საქართველოს ეროვნულმა კრებამ ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოაცხადა (1918 წლის 14 სექტემბერი).

საქართველოს პარლამენტმა შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკა. 1918 წლის 10 სექტემბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო „კანონი საქართველოს რესპუბლიკის დროშის შესახებ“, ხოლო 1918 წლის 27 დეკემბერს კანონი სამხედრო დროშის შესახებ.

ეროვნულმა საბჭომ 20 სექტემბერს დააკანონა საქართველოს გერბად თეთრი გიორგი შვიდი მნათობით, ხოლო 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გერბის აღწერილობა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს - საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონთა შორის არის ერთი მეტად არსებითი, ქართველი ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის კანონი. ეს არის კანონი ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ.

1918 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო „კანონი საქართველოს სახელმწიფო ენისა“...

საქართველოს ეროვნული საბჭოს უკანასკნელი სხდომა 1918 წლის თებერვალში შედგა. მისი მემკვიდრე იყო საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც 1919 წლის 12 მარტს გაიხსნა.

საქართველოს პარლამენტმა დიდი ისტორიული როლი შეასრულა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მან მოამზადა და გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, აღადგინა დაკარგული სახელმწიფოებრიობა. თავისი ჯერ აღმასრულებელი და შემდეგ საკანონმდებლო მოღვაწეობით მან საქართველოს ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა.

დღეს საქართველოში დიდი ეროვნული მოძრაობაა. ჩვენი პოლიტიკური ისტორიის ცოდნა, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიული გამოცდილება დღევანდელობას სასიკეთოდ უნდა წაადგეს.

გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წლის 26 მაისი.